

შპს „სამკურნალო სადიაგნოსტიკო ცენტრი სამგორი მედი“
ს/კ 206061795

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თბილისი

2020

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3-4
საქმიანობის შედეგები -----	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება -----	6
განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია -----	7
2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები -----	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა -----	7
4. ხარჯები -----	10
5. ძირითადი საშუალებები -----	10
6. საბანკო სესხები -----	11
7. გაუნა	
8. ფუნქციონირებადი საწარმო -----	11
9. ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია -----	11

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	41 991	112 777	13 517
სავაჭრო მოთხოვნები	771 977	823 644	900 319
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები	109 992	115 494	104 900
- მზა პროდუქცია	108 342	115 284	104 480
- სხვა	1 650	210	420
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები შენიშვნა 5	1 174 986	858 448	948 905
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	2 098 946	1 910 363	1 968 616
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	236 690	252 764	327 873
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	159 353	111 544	109 523
საგადასახადო ვალდებულებები	38 375	26 095	31 593
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	50 000		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	261 800	6 738	6 738
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	942	35 603	38 085
სულ ვალდებულებები	747 160	432 744	513 812
საკუთარი კაპიტალი			

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	95 940	95 940	95 940
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი შენიშვნა 7	1 255 846	1 381 679	1 358 864
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	1 351 786	1 477 619	1 454 804
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 098 946	1 910 363	1 968 616

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი 2019	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018
ნეტო ამონაგები	2 409 683	2 851 145
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	2 409 683	2 851 145
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(563 877)	(646 987)
საწყისი მარაგები	(115 494)	(104 900)
მარაგების შესყიდვა	(558 375)	(657 581)
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	109 992	115 494
საერთო მოგება	1 845 806	2 204 158

სხვა შემოსავალი	69 064	54 499
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 561 637)	(1 747 388)
ცვეთა და ამორტიზაცია	(161 609)	(120 928)
საპროცენტო შემოსავალი:	189	1 500
საპროცენტო ხარჯი :	(9 604)	
იჯარის ხარჯი	(7 353)	(38 807)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(300 689)	(330 219)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1 971 639)	(2 181 343)

საოპერაციო მოგება	(125 833)	22 815
--------------------------	-----------	--------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(125 833)	22 815
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	(125 833)	22 815

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(125 833)	22 815

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 477 619	1 454 804
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 351 786	1 477 619

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2019	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(70 786)	99 260
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(70 786)	99 260
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	112 777	13 517
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	41 991	112 777

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სამკურნალო სადიაგნოსტიკო ცენტრი სამგორი მედი „(შემდგომში „კომპანია“)
რეგისტრირებულია 1997 წელს.

იურიდიული მისამართი: თბილისი, ისანი- სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი #
23 .

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ძირითად საქმიანობას შეადგენს: ამბულატორიული და მრავალპროფილური
სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გაწევა.

დირექტორი: იამზე ქაშაკაშვილი.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო
პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა
თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ
არის განსაზღვრული.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლრი. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია
ქართულ ლარში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების თავდაპირველად აღირიცხება ლარში,
რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული საქართველოს
ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლითი კურსით ანგარიშგების დღეს. უცხოურ ვალუტაში
განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება - ზარალი აღიარებულია
მოგება ზარალის ანგარიშებში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ
მოგებას გამოკლებული ზარალი - საკურსო სხვაობა.

სებ - ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით შემდეგია:

1 USD/GEL	2,8677	2,6766
1EUR/GEL	3.2095	3.0701

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალების ცალკე კომპონენტები. მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებელისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშებში შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია შედეგად მიიღებს სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში და ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია ფლობს პროგრამულ უზრუნველყოფას.

ამორტიზაცია არამატერიალურ აქტივებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ როცა მყიდველს გაეწია მომსახურება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. გაყიდვები ნაჩვენებია დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულობები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სვაჭრო ვალდებულებები

წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულსაგან სალაროში და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულისაგან.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა არაფულადი სარგებელი კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

მოგების გადასახადი

ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, სხვა საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომელიც საქართველოში მცხოვრები ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან, წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომელიც შეიძლება მოგების განაწილებად ჩაითვალოს (მაგალითად, არასაბაზისო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად აღირიცხება და მათი აღიარება სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში ხდება.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

4. ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და ასახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში. 2019 წლის მდგომარეობით ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები მოიცავს:

რემონტის ხარჯები	----- 16168 -----
სამეურნეო, საკანცელარიო ხარჯი	----- 32395 -----
კომუნალური ხარჯი	----- 58922 -----
საწვავის ხარჯი	----- 10950 -----
საპენსიო ხარჯი	----- 16516 -----
დაკორექტირებული თანხა	----- 33615 -----
იჯარა	----- 7352 -----
სხვა საერთო ხარჯი	----- 124771 -----
სულ	----- 300689 -----

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი	შენობები	მანქანა დანადგარები დასამედიცინო მოწყობილობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	არამატერიალური აქტივი	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2019	58385	326441	441731	17943	9652	4296	858448
შემოსვლა			492794	7501		2973	503268
გასვლა			25121				25121
პერიოდის ცვლათა		16322	138711	4001	1930	645	161609
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	58385	310119	770693	21443	7722	6624	1174986

6. საბანკო სესხები

2019 წლის 25 თებერვალს კომპანიას ძირითადი საშუალებების შესაძენად საქართველოს ბანკიდან გახსნილი აქვს 100000 ევროს საკრედიტო ხაზი წლიური 5,4 საპროცენტი სარგებელით. და 2019 წლის დეკემბერში 50 000 ლარიანი საკრედიტო ხაზი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ძირითანხის დავალიანება შეადგენს 80325 ევროს. ბანკის საპროცენტო ხარჯი იმავე პერიოდის ფინანსურ ხარჯად აღიარდება.

7. გაუნაწილებელი მოგება

დამფუძნებლების გადაწყვეტილებით წინა წლების მოგება მიმართული იყო ძირითადი საშუალებების, უპირატესად სამედიცინო აპარატურის შეძენისა და განახლებისათვის, ასევე ინფრასტრუქტურის მოწყობისა და სარემონტო სამუშაოებისათვის. ვინიდან საწარმოს ძირითადი საქმიანობა სამედიცინო მომსახურებაა, ჯანდაცვის სამინისტროს სალიცენზიო და სანებართვო პირობების ახალი მოთხოვნების შესაბამისად აპარატურა და ინფრასტრუქტურა მუდმივ რეჟიმში მოითხოვს განახლებას. წინა წლების მოგება აკუმულირებულია გაუნაწილებელი მოგება/ზარალის ანგარიშში.

8. ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გაგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელი დასრულდა (125833 ლარის) ზარალით. 2020 წლის დასაწყისიდან გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები ხარჯების შესამცირებლად და შემოსავლების გაზრდისათვის. ამასთან კომპანიამ 2019 წლის განმავლობაში შეიძნა 503 268 ლარის ძირითადი საშუალებები (ძირითადად სამედიცინო მანქანა დანადგარები). ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე. საქმიანობა გრძელდება გლობალური პანდემიის ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

9. ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2020 წლის 2 დეკემბერს.